ცნობის ფურცელი

№ 2452 ოთხშაბათი, 31 მარტი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2452

ზეთის ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ., ნომერი—3 კ., დამატე-
5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.
ლის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში
ის დიდ ქუჩაზე, № 27 და ზ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

კვირას, 28 მარტს, საღამოს 6 საათზე დარდაიცვალა სამსახურს გარედ მყოფი
პოლკოვნიკი

თავ. ალექსანდრე დიმიტრის ძე გედევანიშვილი,

რასაც დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე გარდაცვალებულისა **კნ. მელანია დიმიტრის ასული, შვილები ექიმები დავითი და მიხეილ, ვასილ, გიორგი და კონსტანტინე.** პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, განსვენებულის სადგომში კრასნოგორის ქუჩაზე, № 17. ხუთშაბათს 1 აპრილს დილის 9 საათზე გარდაცვალებულის გვამი განსვენებულ იქმნება ნიკოლოოზის ეკკლესიაში, ხოლო იქიდან დასაკრძალავად კუკიის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე. (1—6.—1)

კახეთის მევენახეთა საზოგადოება

„კ ა ხ ე თ ი“

აცხადებს, რომ ამ თვის 15-დან ღვინო ისყიდება

ბოთლი **20** კაპ., **25** კაპ., **30** კაპ. და მეტად.

უმთავრესი საწყობი და მაღაზია: ერევნის მოედანი თამამშოვის ქარვასლა. განყოფილება: მიხაილოვ. პრ. სლივიცკის სახლში № 81. ისყიდება აგრეთვე ყველა საუკეთესო გასტრონომიულ მაღაზიებში.

ქ. **ქუთაისში** გაიხსნა საზოგადოების განყოფილება სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის „**კოლხიდა**“-ს წყობში და მის ხელმძღვანელობით.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება „კახეთის“ ფირმის იარლიკებს, რადგანაც თვალის ასახვევად ძლიერ ის გავრცელებული სხვა-და-სხვა მიმგზავსებული იარლიკები. (11—6.—6)

ძმ. ნიკიტინების ცირკში

ოთხშაბათს, 31 მარტს, დიდი წარმოდგენა. დღეს ერთ საღამოს ორი ჭიდაობა. ახლად მოსულ ფალავანს **ხორვატსა** და ცნობილ კავკასიელ ფალავნის პეტრე ციტრაშვილს შორის. პრემია 25 მან. გამარჯვებულს. მეორე კავკასიური ჭიდაობა ცნობილ ფალავანს **ცერაძესა** და ადუაშვილს შორის. პრემია 25 მან. გამარჯვებულს. დასასრულ კომიკური პანტომიმა. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ ს. ჭიდაობა მოხდება მეორე განყოფილების შემდეგ. (1—1)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

დ. ა. **გედევანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. **დიასამიძე.**—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. ილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

მ. ტ. **მულინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირის. —11 საათ.

ა. გ. **მაღალაშვილი.**—ბავშვებისა და შინაგ. —11 საათამდე.

ვ. დ. **ლამბაშიძე.**—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ.. ოთხშაბ. და პარასკ. 11—12. საათ.

არ. ვ. **სოგოლევსკი.**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. —3 საათამდე.

ვ. ა. **ბეიერი.**—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 ყოველ დღე.

მ. **მანსვეტოვი.**—შინაგანი, ნერვებისა და ვების, კვირაობით 10—12.

ქალი მ. ჯ. **იოსელიანი.**—ქალისა და საბიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. **მონინი.**—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შეწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით —12 საათამდე.

ნ. **ტყეშელაშვილი.**—კბილისა, 9—11 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ბ. ვ. **სოგოლევსკი.**—ხირურგია და ორტოპეიდა. შაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. **მაღალაშვილი.**—შინაგ., ბავშვ., ყვავის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან თამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის იდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ილის ქუჩიდან-კი 34 Б.
(წლ.) ტელეფონი № 274.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი გ. დ. ნასარიძე

ღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე საღამოს 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 88).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე საღამოობით 5—7-მდე.

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ე ქ ი მ ი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპ. ტი № 123 (თვ.—6- 38)

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი ს. ი. გეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ე ქ ი მ ი

ბესარიონ ა. პოპოვი

სწამლობს ყურისა, ყელისა და ცხვირით ავადმყოფებს ორშაბათის გარდა ყოველ დღე 5—7 საათამდე. რეუტოვისა და ავჭალის ქუჩების კუთხის სახლი (რეუტ. № 26). (30—6.—5)

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 მარტი

ოდესა. 27 მარტს ვოლოჩისკიდან რკინის გზის მატარებლით მოვიდნენ „ვარიაგ“-ისა და „კორეეც“-ის აფიცრები და მეზღვაურები, „კორეეც“-ის უფროსის ბელიაევის მეთაურობით. ამათთან ერთად მოვიდნენ სეულში მყოფ რაზმის უფროსი ლეიტენანტი კლიმოვი და პორტ-არტურის ორის აფიცრის ცოლები. სადგურზე მეზღვაურთ მიესალმნენ ჯარის უფროსი, ქალაქის უფროსი და ქალაქის მოურავი. მოურავმა ვერცხლის თევშით პურ-მარილი მიართვა მეზღვაურთ. ბაირაღებით მორთულ ქუჩებში აუარებელი ხალხი იდგა და ჯარი იყო ჩამწკრივებული. მეზღვაურთ ეტლით გაიარეს ამ ქუჩაზე და მივიდნენ ქალაქის მიერ დამზადებულს სადგომში—„ლონდონის სასტუმროში“, სადაც სამხედრო უწყება და ქალაქი საუზმეს უმართავს. დღეს ნაშუადღევის სამს საათზე მეზღვაურნი სევასტოპოლს წავლენ.

28 მარტი

პეტერბურგი. მტრის წინააღმდეგ მოქმედების დროს თავის გამოჩენისათვის ებოძათ კონტრ-ადმირალობა: ჯავშნიან გემის „ცესარევიჩ“-ის უფროსს გრიგოროვიჩს და კვანტუნის ეკიპაჟის უფროსს მატუსევიჩს. გრიგოროვიჩი დაინიშნა პორტ-არტურის უფროსად. მეორე რანგის კაპიტანი ვასილევი დაინიშნა ჯავშნიან გემის „ცესარევიჩ“-ის უფროსად.

რომი. „ტრიბუნა“-ში დაბეჭდილია ჰონგ-კონგიდან მიღებული კორესპონდენცია. აწერილია, როგორის ძმურის სიყვარულით მიიღეს დაჭრილი რუსები იტალიის გემის „ელბა“-ს აფიცრებმა და მეზღვაურებმა. კორესპონდენტი ამბობს, რომ „ელბა“-მ მიიღო 180 დაჭრილზე მეტი; აფიცრები და მეზღვაურნი, აგრეთვე სეულში მყოფი წარმომადგენელი იტალიისა უვლიდნენ და კარგად ეპყრობოდნენ დაჭრილებსაო. კორესპონდენტი იმასაც აღნიშნავს, რომ იტალიელნი ყველაფერს იკლებდნენ, რომ დაჭრილ რუსებისთვის უკეთ მოევლოთო. დასასრულ აღწერს გამოთხოვებას.

ოდესა. 27 მარტს, პირველ საათზე, „ლონდონის სასტუმროში“ სამხედრო უწყებამა და ქალაქმა მეზღვაურთა პატივსაცემლად გამართა საუზმე. დაესწრნენ: ჯარის უფროსი, ქალაქის უფროსი, ქალაქის მოურავი, ნავთსადგურის უფროსი, ჯარის სხვა-და სხვა ნაწილის უფროსნი და სხვანი. ჯარის უფროსმა წარმოსთქვა ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო, რასაც ყველანი „ურა“-ს ძახილით მიეგებნენ. შემდეგ უსურვეს პატივი და დიდება რუსეთის ფლოტს. 3 საათზე მეზღვაურთ მორთულ ქუჩით გაიარეს და ბაირაღებით გამშვენებულს ნავთსადგურს შევიდნენ. გზაზე ხალხი ალტაცებით ეგებებოდა. გასაცილებლად მოვიდნენ აგრეთვე ჯარის-უფროსი, ქალაქის უფროსი და ისინი, ვინც საუზმეს დაესწრნენ. 4 საათზე გემი „ველიკი კნიაზ ალექსეი“ სევასტოპოლს წავიდა. ხალხმა „ურა“-ს ძახილით გააცილა.

ტოკიო. რუსებმა პორტ-არტურის ჩრდილოეთით ოთხი მილის მანძილზე თხრილი გაიყვანეს. თხრილში მჩხვლეტავი მავთულებიანი ღობეა გავლებული, ზევიდან მიწა აქვს წაყრილი ისე, რომ თხრილი არა სჩანს. ხმა დადის, იალუს მახლობლად, ძიულიაჩენში ბრძოლა მოხდაო.

ნიუჩუანი. ამ ქალაქის მეციხოვნედ 5000 კაცია. აქვთ სამი ბატარეია. ორის დღის შემდეგ მოვა 10,000 კაცი. ამას გარდა მზად არის 15,000 კაცი. ამათ საჭიროების უმალვე შეუძლიანთ ნიუჩუანში მოსვლა. მიღებულია ყველა საშუალება, რაც-კი თავდასაცავად არის საჭირო.

სეული. გენერალ კუროკის ჯარი პენიანშია. ამ ჯარში 70ათასი კაცია; აქედან ბრძოლისთვის გამოსადეგია მხოლოდ 50 ათასი კაცი. მთავარი ავანპოსტები ანჯუსთანაა. მახლობლადვეა ცხენოსან ჯარის ავანპოსტებიც. ფუზანი ძლიერ არის გამაგრებული. იაპონელნი ადვილად ცივდებიან. უფრო იტანჯებიან ყელის ავადმყოფობისაგან. იაპონელებს დიდი ობოზი აქვთ. თითო დივიზიიდან 6000 კაცია ამ ობოზისთვის გამცდარი. იალუს შესართავთან მართლა გაჩნდნენ იაპონიის სამხედრო გემები. ნიუჩუანიდან იუწყებიან, ვშიშობთ იაპონელნი აღდგომა დღეს არ დაგვეცნენო.

29 მარტი

სევასტოპოლი. გემით „ველიკი კნიაზ ალექსეი“-თ აქ მოვიდნენ კაპიტნები ბელიაევი და ზასუხინი, ლეიტენანტი ბერლინგი, მიჩმანები შილლინგი, ბოისმანი, პირილევი, ბუტლეროვი და ლობოდა, ექიმი მერკულოვი, მოხელენი ბარსუკოვი და დენისოვი და ინჟენერ-მექანიკოსი ფრანკი. დანარჩენნი ოდესას დარჩნენ და შემდეგ მოვლენ ნაწილ-ნაწილ.

სევასტოპოლი. საუცხოვო ამინდია. კაზარსკის ძეგლთან დილის 9 საათზე შეიკრიბნენ „ვარიაგ“-ის მეზღვაურნი. იქვე იყვნენ ყველა ეკიპაჟის წარმომადგენელნი და ადიუტანტები. შეკრებილ მატროსებს აუხსნეს მნიშვნელობა „მერკურ“-ის გმირობისა, ამასთან აღნიშნეს მსგავსება „ვარიაგ“-ისა და „მერკურ“-ის მოქმედებისა და აგრეთვე ის, რომ „მერკურ“-ის ყველა მეზღვაურმა მიიღო გიორგის ჯვარი. შემდეგ მოვიდა ადმირალი, მიულოცა შეკრებილთ და წარმოსთქვა სადღეგრძელო ხელმწიფე-იმპერატორისა.

სევასტოპოლი. 28 მარტი. გუშინ საღამოთი ხმა გავარდა, რომ ჩემულპოს გმირი-აფიცრები დღეს ოდესიდან გემით მოვლენო. ჯარი და მეზღვაურნი შეიკრიბნენ ძვირფასს სტუმრების დასახვედრად. „ველიკი კნიაზ ალექსეი“-ს ზღვაში მიეგებნენ ნაღმიანი გემები. შავის ზღვის ფლოტის მხრივ ჯავშნიანმა გემმა „როსტისლავ“-მა სიგნალი მისცა და „სალამი მამაცთ“-ო უთხრა. გემზე ავიდა სკრიდლოვი. უფროსნი და გმირები გამწკრივდნენ. უმრავლესობას სამხედრო ტანისამოსი არ ეცვა. ადმირალმა მიულოცა მშვიდობით მოსვლა ყველას და გადაჰკოცნა. შემდეგ ყველანი სათითაოდ შეაქო. მერე ჩამოვიდნენ გემიდან. ქალაქის მოურავმა პურ-მარილი მიართვა და მიულოცა სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება. გმირები სამხედრო მუსიკის ხმაზე ნახიმოვის მოედანზე გადავიდნენ, ძეგლთან, სადაც სამღვდელოება იდგა. დეკანოზმა დროის შესაფერისი სიტყვა წარმოსთქვა. მერე გადახდილ იქმნა პარაკლისი, რომლის შემდეგაც სკრიდლოვმა ჩემულპოს გმირებს სიტყვით მიჰმართა, დაურიგა უმაღლესად ნაბოძები გრამოტები და ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო წარმოსთქვა. ამ სადღეგრძელოს აღტაცებით მიეგებნენ. მუსიკა საერო ჰიმნს უკრავდა. დასრულდა ჰიმნი და ადმირალმა წარმოსთქვა „ჩემულპოს მამაცთა“ სადღეგრძელო. შემდეგ მუსიკის ხმასა და „ურა“-ს ძახილზე გმირები წავიდნენ მომზადებულ სადგომებში.

უფა. 28 მარტს აქ გამოვლილ ჯარს მცხოვრებლებმა მისცეს პასკები, კალბასები, ლუდი და თამბაქო.

სეული („რ. იტ. საგ.“). იაპონიის ელჩმა აცნობა კორეის სამინისტროს, რომ რუსებმა უკან დაიწიეს, კორეას გაეცალნენ და მდინარე იალუს მეორე მხარეს გადავიდნენო. ელჩმა სთხოვა კორეის მთავრობას, უბრძანოს მოხელეთ გაუადვილონ იაპონელებს მუშების დაქირავება სეულ-ფუზანის რკინის გზის გაყვანის დასაჩქარებლად.

30 მარტი

სუდა. გემი „მალოკ“-ი დღეს დილით მოვიდა აქ „ვარიაგ“-ის და „კორეეც“-ის მეზღვაურებით. ესენი ჯანმრთელად არიან. რეტიმოდან მოვიდა პოლკოვნიკი ურბანოვიჩი სამის აფიცერით, რომელნიც უნდა მიესალმნენ ჩემულპოს გმირებს. კანეის ქალაქის თავმა თაიგული და ტკბილი ქადები მიართვა. ცხრის ნახევარზე მეზღვაურები გემ „კრიმ“-ით ოდესას წავიდნენ; ნავთ-სადგურში მდგომ გემების მეზღვაურებმა „ურა“-ს ძახილით გააცილეს გმირები; ყველა გემი სადღესასწაულოდ იყო მორთული.

ჩიფუ („რეიტ. საგ.“). ჩინეთის ერთი გემი ეხლახან დაბრუნდა ნიუჩუანიდან; გემის უფროსმა სთქვა, ნიშნებით გამოვიწვიე ლოცმანი, მაგრამ ჩემს ნიშნებს ნიუჩუანში არავითარი ყურადღება არ მიაქციესო. ამგვარსავე ყოფაში იყო ინგლისის ორი გემი: არც ისინი შეუშვეს ნავთ-სადგურში. ამრიგად ნიუჩუანი დაიხურა უცხოელ ვაჭრობისთვის.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

28 მარტი

ლონდონი. „ცენტრალ ნიუს“ იტყობინება, რომ გენ.-ადიუტ. კუროპატკინი პარას-

კევს ნიუ-ჩუანს მივიდა და დაათვალიერა ადგილობრივი ჯარი. მთავარ-სარდლის მისვლამ გაამხნევა ჯარები და კვლავ ჩაუნერგა მათ გამარჯვების იმედი.

სეული. ფხიონ-იანში შეგროვდა 70 ათას ჯარის კაცისაგან შემდგარი არმია გენერალ კუროკის სარდლობით. მათგან საომრად მზადაა 50 ათასი კაცი.

რუსეთის კავალერიის მთავარი ნაწილი მდ. იალუს მარჯვენა ნაპირზე გადავიდა.

პარიზი. ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების გამო გაზეთი „ტან“ აღნიშნავს, რომ რუსეთისთვის მნიშვნელობა აქვს ამ შეთანხმებას; რუსეთმა მოიპოვა მკვიდრი ნიადაგი და ზურგი გაიმაგრაო. სხვა გაზეთებიც აღნიშნავენ ამ შეთანხმების მნიშვნელობას.

ინგლისიც მიემხრო 1888 წლის კონვენციას სუეცის არხის სანეიტრალო ადგილად აღიარების შესახებ.

29 მარტი

შანხაი. ხმა, ვითომ ჩინელები ევროპიელების წინააღმდეგ არეულობის მოხდენას აპირებენ, ტყუილი უნდა იყოს. ამბობენ-კი, რომ ასეთი არეულობის მოხდენას სიჩუანისა და შანდუნის პროვინციებში აპირობენო. მცხოვრებთ ამის გამო კიდევაც ჰქონდათ შეტაკება მთავრობის ჯართან. სიჩუანის პროვინციის ქალაქ შუნტზინში ჯარს თურმე უკან დააწევინეს.

ტოკიო. გაზეთი „კოკუმინ“ ამბობს: იაპონიამ მოახერხა და უბრძოლველად აღასრულა დასახული საგანი: რუსები კორეიაში აღარ არიანო. გაზეთი თხოულობს, სამხედრო ფონდი მოხმარდეს მშვიდობიანობის ჩამოგდების საქმესაო.

იაპონური გაზეთები ამბობენ: რუსეთის ბალტიის ესკადრა ბრძოლის ველზე მხოლოდ მაშინ გაჩნდება, როცა პორტ-არტურისა და ვლადივოსტოკის ესკადრები იაპონელთა ფლოტის მსხვერპლი გახდებაო.

ფხიონ-იანიდან იტყობინებიან, რომ კორეიელები მეგობრულად ეგებებიან იაპონელებსაო.

ფხიონ-იანი. იაპონელებმა სრულიად დაიპყრეს მდ. იალუს კორეის ნაპირი.

ლონდონი. „მორნინგ პოსტ“-ის კორესპონდენტი იტყობინება ჩიფუდან: თუმცა ჩინეთის მთავრობა ოფიციალურად იუწყება, რომ ნეიტრალიტეტს არ დაარღვევს, მაგრამ ხალხის მღელვარება ძლიერდება და საეჭვოდ ჰყოფს ჩინეთში მშვიდობიანობის დაცვის საქმეს.

„სტანდარტს“ სწერენ: მარკიზ იტომ ნიპპონის კლუბში სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა, რომ კორეიაში იმის წასვლას პოლიტიკური ხასიათი არ ჰქონდაო; ხოლო იაპონიის მთავრობის მიერ დასახული საგანი აღსრულებულ იქმნაო.

„დეილი ტელეგრაფ“ ამბობს, რომ რუსებმა, ჩრდილოეთ კორეიდან წასვლის დროს, გააფუჭეს ტელეგრაფი ფხიონიანსა და იჩჟუს შუა; ეხლა იაპონელებმა ისევ აღადგინეს იმ ადგილებში ტელეგრაფის მუშაობაო.

იაპონიის ელჩმა სეულში მოითხოვა, დასჯილ იქმნან კორეის გარეშე საქმეთა სამინისტროს ერთი მოხელე და პაკჩიონში მყოფი ერთი პოლკოვნიკი, რომელთაც რუსებთან კავშირის დაჭერა ჰბრალდებათ.

„მორნინგ პოსტ“-ის კორესპონდენტს ულაპარაკნია კობეში რუსის სამ დაჭრილ მეზღვაურთან; ამათ დიდათ უქიათ იაპონიის წითელ ჯვრის მოქმედება: მშვენივრად ეპყრობიან რუსებსაო და ჩინებულად უვლიან ჩვენებურ დაჭრილთაო.

(ღამის დეპეშები იხილე მე-3 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. როგორც ვიცით, იაპონიის პირველ არმიის მოწინავე რაზმები მდინარე იალუს მარცხენა ნაპირზე დადგნენ და იჩჟუ, იონამპო და სხვა ადგილები დაიჭირეს. იონამპო იალუს შესართავს ახლო მდებარეობს. აქ რუსის კამპანიას, კორეისაგან აღებულ კონცესიის თანახმად, ხე-ტყის საწყობები ჰქონდა გამართული. იონამპოს ახლო იალუ რამდენსამე ტოტად იყოფა; უმთავრეს ტოტს 500 საჟენი სიგანე აქვს და იმდენად ღრმაა, რომ დიდი გემები პირდაპირ შემოდიან. ქალაქი იჩჟუ იონამპოს ჩრდილოეთით მდებარეობს, 22 ვერსტის მანძილზე. იჩჟუში 2 ათას სახლამდეა, გარშემო კედელი აქვს შემოვლებული, 500 საჟენი სიგანე აქვს, კლდიან მთაზეა გაშენებული და იალუს მარჯვენა ნაპირს მაღლიდან დაჰყურებს. იჩჟუს პირდაპირ იალუს მარჯვენა მხარეს ქალ. ანდუნი მდებარეობს. ანდუნიდან ფინხუანჩენამდე გზაა გაყვანილი („რ. ი.“).

ფრანგულ გაზ. „მატენ“-ის კორესპონდენტი იუწყება ხარბინიდან: ორიოდე დღის წინ ხარბინსა და პორტ-არტურში ხმა გავრცელდა, ვითომ რუსის დარაჯებს პორტ-არტურში დაენახოსთ, რომ ზღვაში რაღაცა დასცურავდა, ხან მაღლა ამოდიოდა, ხან წყალში იმალებოდა. ჰფიქრობენ, ეს იაპონელების წყალ-ქვეშ მოსიარულე ნავი იქნებოდაო. რუსებმა ნავები გაგზავნეს ამ ნავის საძებნელად, მაგრამ მაინც ვერაფერი ვერ გაიგეს („პ. ვ.“).

ბრძოლა პორტ-არტურთან 14 მარტს. „ტაიმს“-ის კორესპონდენტი ასე ასწერს ამ ბრძოლას: 12 თებერვალს იაპონელებმა პორტ-არტურის შესავალი მხოლოდ ცოტათი ჩაკეტეს. ადმირალმა ტოგომ გადასწყვიტა, ამ შესავლის ჩაკეტვა კიდევ უნდა ვსცადოთო. როცა მეზღვაურებმა ეს გაიგეს, ყველამ, ვისაც კი 12 თებერვალს იერიშში მონაწილეობა მიეღო, გამოაცხადეს, რეიდის ჩაკეტვა ეხლაც ჩვენ უნდა მოგვანდოთო. ადმირალმა შეასრულა მეზღვაურების თხოვნა. ასე რომ 14 მარტსაც ისევ ის აფიცრები და მექანიკები წავიდნენ პორტ-არტურის რეიდის ჩასაკეტად, ვინც 12 თებერვალს ჩაძირულ სავაჭრო გემებზე იყვნენ. აფიცრები, მექანიკები და მეზღვაურები ოთხ უბრალო სავაჭრო გემზე დასხეს და პორტ-არტურისაკენ გაგზავნეს. ეს გემები ჯერ მთელმა ფლოტმა გააცილა; რაკი პორტ-არტურს მიუახლოვდნენ, ფლოტი დადგა და 4 გემი ბნელა ღამეში წინ, პორტ-არტურის შესავლისაკენ გაემართა, თან ნაღმიანი გემებიც გაჰყვნენ. პირველ ღამეს მთვარე ანათებდა, შუაღამის დროს კი მთვარე დაიმალა. ზღვა სარკესავით ბრწყინავდა. სრული სიჩუმე იყო. ისე ბნელოდა, რომ თვალთა წინა არა სჩანდა-რა. გემები ნავთ-სადგურის შესავლისაკენ მიდიოდნენ. რუსის პროჟექტორები ზოლოტოი გორიდან ზღვას ანათებდნენ და ათვალიერებდნენ, იაპონელები ხომ არსად მოდიანო. იაპონელმა აფიცრებმა იცოდნენ, რომ პროჟექტორის სინათლეზე ვერც თუ ისე მალე დაინახავდნენ იმათ გემებს. სავაჭრო გემები და ნაღმიანი გემები სწრაფად მიდიოდნენ ბნელაში ნავთ-სადგურისაკენ. ორ მილზე რომ მიუახლოვდნენ, უცებ პროჟექტორის შუქი მიადგათ; რუსებმა დაინახეს, ზარბაზანმა ხელად დაიქუხა და იმ წამსვე რუსის მეციხოვნე ჯარი ბატარეებს ეცა: სამს წუთში რუსებმა ყველა მხრიდან ზარბაზანი დაუშინეს იაპონელებს. ბატარეებიდან, თუ მორიგ ნაღმიან გემებიდან ყუმბარა სეტყვასავით მოდიოდა და იაპონელების ახლო ზღვაში ცვიოდა. ზღვა ნამდვილად დუღდა ყუმბარებისაგან. მაგრამ იაპონელები ერთ წამსაც არ შემდგარან. ნაღმიანი გემები წინ წავიდნენ, სავაჭრო გემებს გზა გაუხსნეს. ამ გემებზე აფიცრები ყოველ წამს მზად იყვნენ, რომ გემები შესავალში ჩაეძირათ; მეზღვაურები ნავებში ისხდნენ. გემები გაქანებული მიდიოდნენ რეიდის შესავლისაკენ. ყუმბარა წინანდებურად სეტყვასავით მოდიოდა. დილის 3 საათი და 30 წუთი იყო. თუმცა პროჟექტორები ძლიერ ანათებდნენ და ურიცხვი ყუმბარაც მოდიოდა, გემი „ჩიომარუ“ გაქანებული მიდიოდა შესავლის აღმოსავლეთ მხრისაკენ. ასაფეთქებელ მასალის ფილტა დამზადებული ჰქონდათ, ცეცხლი წაუკიდეს და გემი რეიდის აღმოსავლეთ მხარეს ჩაძირეს, 100 იარდის (1 იარდი—3 ფუტია) მანძილზე შესავლიდან. „ჩიომარუს“ გემი „ფუკუიმარუ“ მისდევდა. ამ გემმა „ჩიომარუს“ გვერდზე გაიარა, დადგა და სწორედ იმ ადგილას ჩაიძირა, სადაც იაპონელებს უნდოდათ. მესამე გემს „იანეიამარუს“ რუსის ექვს გირვანქიანი ყუმბარა მოჰხვდა და გვერდი გაუნგრია. ყველაფერი აირ-დაირია, ნამდვილი მეორედ მოსვლა იყო, მაგრამ იაპონელები მაინც არ დაიბნენ და გემი მედგრად წინ წაიყვანეს. ამ გემმა „ჩიომარუს“ მარცხენა გვერდზე გაიარა, მერე რუსის ნაღმიან გემსა და „ფუკუიმარუს“ შუა გაიარა და ნავთ-სადგურის შესავლის შუაგულს მიაღწია; ამ დროს რუსის ნაღმიანმა გემმა ნაღმი ესროლა და მოახვედრა კიდევაც. გემმა კიდევ ცოტაოდენი მანძილი გაიარა და რეიდის გასავლის დასავლეთ მხარეს ჩაიძირა. იაპონელებმა ამ ღამეს დიდი მამაცობა, თავგანწირულობა და სიდინჯე გამოიჩინეს. იაპონელებმა სავაჭრო გემების მეზღვაურები 9 ნავში ჩასხეს, ეს ნავები ბუქსირით ნაღმიან გემებს გამოაბეს და წაიყვანეს. აქედან სჩანს, იაპონელებს რომ მეტი გემი ჰქონოდათ, პორტ-არტურის რეიდს უსათუოდ ჩაჰკეტავდნენ. მაინც მგონია, რომ რუსის დიდ სამხედრო გემებს ნავთ-სადგურიდან გამოსვლა გაუჭირდებათ. დარწმუნებული ვარ, იაპონელები არ მოისვენებენ, სანამ რეიდის გასავალს მთლად არ ჩაჰკეტვენ. სავაჭრო გემებს ერთი დივიზია ნაღმიანი გემი მისდევდა. სანამ სავაჭრო გემების მეზღვაურები არ გადმოიყვანეს და ნავებში არ ჩასხეს, ეს დივიზია ადგილიდან არ დაძრულა. გარაჟრაჟზე იაპონიის ნაღმიანი გემები რუსის ნაღმიან გემს („სილნის“) დაეცნენ და ძლიერაც დააზიანეს. ეს რუსის ნაღმიანი გემი რეიდის გამოსავალში იდგა და მთელი ღამე ნაღმებს ისროდა. როცა ინათა, ნაღმიან გემების დივიზია სამხრეთისაკენ დაიძრა და იაპონიის დანარჩენ ფლოტს შეუერთდა. („ნ. ვ.“).

მთავრობის განკარგულება

„პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: შორეულ აღმოსავლეთის ომის გამო 1904 წლის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვა და გასულის წლების კრედიტები შემცირებულ იქმნა 134.377.106 მანეთით, რომელიც ჩაირიცხა ხაზინის თავისუფალ თანხებში. ეს შემცირებული ხარჯი სხვადასხვა უწყებათა შორის ამნაირად არის განაწილებული. უწ. სინოდს მოაკლეს 264.500 მან., გარეშე საქმეთა სამინისტროს—465.493 მან., საზღვაო სამინისტროს—1.152.704 მან., რომელიც გადადებული იყო პორტ-არტურის ნავთ-სადგურის

ფელეტონი

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

25 წლის განმავლობაში (1879—1904)

I. საზოგადოების დაარსება.

დღეს, 31 მარტს, სწორედ ოც-და ხუთი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა წესდება „კავკასიის სანამესტნიკოს მკვიდრ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ ტფილისის საზოგადოებისა“*). იშვიათი იქმნება ისეთი, წერა-კითხვის მცოდნე ქართველი, რომ არ გაეგონოს ამ საზოგადოების სახელი. ძნელად მოიპოვება ისეთი ქართველი, რომელიც არ აფასებდეს „წ.-კ. საზოგადოებას“, არ უყვარდეს დღეს, დღევანდელ პირობებში განსაკუთრებით, არ უყურებდეს მას, როგორც საუკეთესო ეროვნულ დაწესებულებას. იშვიათი იუბილე იქმნება ჩვენის ქვეყნის ცხოვრებაში ისეთი თვალსაჩინო და საყურადღებო, როგორიც არის წერა-კითხვის საზოგადოების 25 წლის არსებობა. მიუხედავად კერძო თუ საზოგადო დამაბრკოლებელის პირობებისა, საზოგადოება წლიდან წლამდე თანდათან აფართოვებდა თავის მოღვაწეობის ასპარეზს. ტყვილად არ ჩაუვლია მის ამდენიხნის არსებობას, მისი სარგებლობა, მისი ნაყოფიერობა, მის მიერ დაჩენილი კვალი ყოველ ეჭვს გარეშეა. „საზოგადოების“ ხელში 8 სასწავლებელია, 11 ბიბლიოთეკა-სამკითხველო, მის სკოლებში სწავლობს 1200-ზე მეტი მოსწავლე; მის ბიბლიოთეკებში 16000-ზე მეტი წიგნია, რომლითაც სარგებლობს 2,300 კაცი, მის სამკითხველოებში ყოველ წლიურად შედის 62,000 მკითხველი. „საზოგადოებას“ აქვს ბიბლიოთეკა-მუზეუმი, სადაც შეკრებილია მრავალი ძვირფასი ქართული ხელნაწერი; „საზოგადოებას“ გამოუცია 68 სხვა-და-სხვა სახელმძღვანელო თუ ისე საკითხავი წიგნი, „საზოგადოება“ ეხმარება ფულით თუ წიგნებით სხვა ბიბლიოთეკებს, სკოლებსა და კერძო პირებს. „საზოგადოებას“ ჰყავს დღეს 1000-ზე მეტი წევრი...

ჩვენ განვიმეორებთ აქ, რასაც ვწერდით ამ ორის წლის წინად- „წერა-კითხვის საზოგადოება ჩვენი საუკეთესო კულტურული დაწესებულებაა. მისი მოქმედების ასპარეზი მეტად საპატიო და ძვირფასია: ეს არის ჩვენი გონებრივი განვითარება, ცოდნის გავრცელება ხალხში, ერის კულტურულად გაღონიერება; ამ „საზოგადოებაში“ არის შეკრებილი და დღესაც იკრიბება ჩვენი წარსული კულტურის ნაშთები, რაც-კი რამ ქართველის უკვდავ სულს შეუქმნია, რაშიაც კი გამოხატულა ჩვენის სულის და გულის მოძრაობა და აღბეჭდილა წიგნებში, მხატვრობაში, მუსიკაში, ხუროთ-მოძღვრებაში, ყველაფერი აქ თავს იყრის და ხელს უწყობს ჩვენის თავის გათვითცნობიერებას. ვინც რა მიმართულების უნდა იყოს, ყველა პატივს სცემს ამ „საზოგადოებას“. მისი განვითარება არის საზოგადო ჩვენი განვითარება და რამდენად მეტი ინტერესი იქმნება ხალხში მისდამი, იმდენად უფრო დაწინაურებული ვიქნებით. ამ მხრივ სასიხარულო და საიმედო ნიშნებს იძლევა უკანასკნელი წლები“... (ცნობ. ფურც. № 1810).

„საზოგადოების“ დაარსების აზრი დაიბადა 1870 წლებში. მაშინ არსებობდა ერთი ახალგაზრდათა მცირე წრე, რომელიც იკრიბებოდა იოსებ მამაცაშვილის სახლში. წრეში იყო სჯა-ბაასი ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა საჭირბოროტო საქმეების შესახებ. უფრო-კი წრეს პირდაპირ ეინტერესებოდა მწერლობა და სწავლა-აღზრდის საქმე. წრის კრებებს ესწრებოდნენ, გარდა იოსებ მამაცაშვილის ოჯახობისა, ნიკ. ცხვედაძე, იაკ. გოგებაშვილი, დიმ. ბაქრაძე, ვახ. თულაშვილი, დიმ. და გიორგი მუსხელაშვილები, კონსტ. და ზაქ. მამაცაშვილები, ილ. წინამძღვარიშვილი. წრე მართავდა ხანდახან სალიტერატურო საღამოებსაც ვ. თულაშვილის სახლში. ამ წრემ განიზრახა პირველი ქართული სკოლის დაარსება ს. ხოვლეში, გორის მაზრაში. ამისთვის წრემ დაადო თავის წევრებს და სხვა პირებსაც თვიური გადასახადი, ამით შეადგინა კასსა და მალე გახსნა კიდეც სკოლა, რომელსაც რამდენისამე წლის განმავლობაში ინახავდა თავის ხარჯით. ხოვლეში იმიტომ გახსნეს სკოლა, რომ იქ იყო გათხოვილი იოს. მამაცაშვილის ერთი ქალი და ეს გარემოება ხელს უწყობდა სკოლის გამართვას. ხოვლეს სკოლა არსებობდა რამდენსამე წელიწადს.

წრის მოქმედებამ და ხოვლეს სკოლის დაარსებამ თავის თავად დაჰბადა იმის აზრი, რომ დაარსებულიყო ისეთი დაწესებულება, რომელსაც ექნებოდა მუდმივი ხასიათი და დაეხმარებოდა სწავლა-განათლების გავრცელებას საქართველოში. რასაკვირველია, პირველი საქმე იყო ამ აზრის გავრცელება ქართველ საზოგადოებაში, თანაგრძნობის და ნდობის მოპოვება ქართველთა შორის. ასეთი დაწესებულება, უეჭველია, უნდა ყოფილიყო იმგვარი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, როგორიც უკვე არსებობდა რუსეთის რამდენსამე ქალაქში. ამ აზრის გასავრცელებლად ყველაზე მეტს მუშაობდნენ და მეცადინეობდნენ ნ. ცხვედაძე, იაკ. გოგებაშვილი და ვახ. თულაშვილი. ბევრი წინააღმდეგი იყო „წერა-კითხვის საზოგადოების“ დაარსებისა: ზოგი ამბობდა, ჯერ ადრეაო; ზოგი კი დასცინოდა საქმის მეთაურებს, გაჩუმდით, თავი დაანებეთ, თორემ კარგი არ მოგივათო. ასე თუ ისე, „საზოგადოების“ დაარსების აზრი თანდათან ვრცელდებოდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დიმ. ყიფიანის დახმარებას, რომელიც ჯერ წინააღმდეგი იყო, მაგრამ საქმეს რომ კარგად ჩაუკვირდა, სულით და გულით მიემხრო საქმის ინიციატორებს.

დადგა 1877 წელი, დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი და რუსეთის მთავრობამ გამოსცა ცალკე მოწოდება ქართველ ერისადმი, რომელშიაც პატივისცემით იხსენიებდა ქართველებს. ამით გამხნევდნენ საქმის მეთაურები და მეტის იმედით და ენერგიით შეუდგნენ „საზოგადოების“ დაარსებას. წინად თუ აშინებდნენ ზოგიერთები, მთავრობა არ მოგვცემს ნებას „წერა-კითხვის საზოგადოების“ დაარსებისასო, ახლა ასეთს შიშს არ ჰქონდა იმდენი საფუძველი. მოპოვებულ იქმნა ხარკოვის „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წესდება, რომლის მიხედვით უნდა შედგენილიყო ქართული „საზოგადოების“ წესდებაც. წესდების პირველი რედაქცია შეიმუშავეს დ. ყიფიანმა და

---

*) ასეთია სრული სახელი „საზოგადოებისა“. მკითხველებს დაურიგდათ საზოგადოების წესდება, ამიტომ აქ არ შევეხებით მისის მოქმედების საგანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაუმჯობესებლად, ფინანსთა სამინისტროს—15.240.450 მან. ამაში შედის 600 ათასი მანეთი გადადებული თავად-აზნაურთა საზოგადოებათათვის თავშესაფარის ასაგებად და შესანახად, 200 ათასი მან. სიფხიზლის საზოგადოებათათვის გადადებული, 450 ათასი მან. პეტერბურგის პოლიტეხნიკუმის სტუდენტებისათვის თავშესაფრის ასაგებად დანიშნული, 2 მილიონი მან., რომელიც უნდა მოხმარებოდა მცირე კრედიტის გავრცელების საქმეს და სხვა. მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მოაკლეს—3.114.891 მან., ამ რიცხვში 300 ათასი მან., რომელიც გადადებული იყო სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად სესხების გაცემისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტროს მოაკლეს 9.847.894 მან., ამ რიცხვშია 8 მილიონი, გადადებული გზა-ტკეცილების გასაუმჯობესებლად, 325 ათასი მანეთი გადასახლებულ გლეხთა შესაწევად და სხვა. საერო განათლების სამინისტროს მოაკლეს 1.107.706 მან., გზათა სამინისტროს — 24.603.704 მან., სავაჭრო ზღვაოსნობისა და ნავთ-სადგურების მთავარ-გამგეობას 3,903.388 მან., იუსტიციის სამინისტროს 80 ათასი მანეთი., ცხენების მომვლელ-მომშენებელ უწყებას 250 ათასი მან., ყველა უწყებას სულ მოაკლდა ჩვეულებრივ ხარჯებისათვის 60.030.649 მანეთი. საგანგებო ხარჯებისათვის მოაკლდათ: ფინანსთა სამინისტროს—6.500 ათასი მანეთი. გზათა სამინისტროს—47.350 ათასი მანეთი. სულ საგანგებო ხარჯებისათვის უწყებათ მოაკლდათ 55.407.687 მან.

ამ რიგად 1904 წლის ხარჯთ-აღრიცხვა შემცირებულ იქმნა 115.498.336 მანეთით, წინა წლების ხარჯთ-აღრიცხვის კრედიტები 18.878.770 მანეთით; მთლად სახელმწიფო ხარჯი წელს უნდა შემცირდეს 134.377.106 მანეთით.

ახალი ამბავი

◆ დღეს, 31, მარტს, **კავკასიის მთავარმართებელი** მთხოვნელთა და სამსახურის პირთ არ მიიღებს („კავკაზ").

◆ პარასკევს, 2 აპრილს, საღამოს 5 საათზე, ქალთა 1-ლ გიმნაზიის შენობაში მოხდება საზოგადო კრება **მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა** ტფ. საზოგადოების წევრებისა. ანგარიშისა და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის შემდეგ კრებამ თათბირი უნდა იქონიოს მოხუცებულ და დავრდომილ მასწავლებელ ქალთათვის თავშესაფარის დაარსების შესახებ. ამასთანავე კრებას ასარჩევი ჰყავს გამგეობის სამი წევრი, 4 მათი კანდიდატი, სარევიზიო კომისიის წევრები და საზოგადოების საქმის მწარმოებელი.

◆ ტფილისის საქარხნო ინსპექციას განუზრახავს მოაწყოს **ექიმობის საქმე მუშათათვის.** ჰფიქრობენ ტფილისში განსაკუთრებულ საავადმყოფოს დაარსებას.

◆ დღეს, 31 მარტს, დიდუბის იპოდრომზე დაიწყება **ცხენების დოღი.**

ქუთაისის ახალი ამბები

◆ 22 მარტისთვის დანიშნული ქალაქის საბჭოს სხდომა არ შესდგა, ხმოსანთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. ამ დღისათვის, სხვათა შორის, დანიშნული იყო განსახილველად: სათეატრო კომისიის წინადადება შესახებ იმისა, რომ შეცვლილ იქმნეს წარმოდგენების დროს თეატრის ქირის რაოდენობა; ხმოსნის გ. ე. ფონ-შულცის განცხადება შესახებ იმისა, რომ ქალაქმა მიიღოს ზომები ბაგრატ III-ის ტაძრის ნანგრევების განადგურებისაგან დასაცავად; ქალაქის გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა, რომ შეცვლილ იქმნეს საღორიის აგარაკში გაცემულ სამოსახლო ადგილების იჯარის პირობები და სხ.

◆ ს. თ. ხუნდაძის თაოსნობით, ქუთაისში შეერთდნენ: წიგნების გამომცემელი ქუთათური ამხანაგობის კიოსკი, საუმაწვილო წიგნების წრე, გ. ბეჟანიშვილისა და „რუსთაველი"-ს საამხანაგო წიგნის მაღაზიები, რომ საერთო ხარჯით დაიქირავონ კაცი, რომელსაც უნდა მიანდონ ქუთაისში გასაყიდად ქართულ წიგნების ტარება. ამ კაცს ჯილდოდ მიეცემა თვიურად 4 მანეთი და 10 პროც. გაყიდულ წიგნების ფასიდან.

◆ ქალაქის გამგეობამ წითელ პარასკევს 150 მანეთი დაურიგა ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ. გამგეობის დარბაზს იმდენი მთხოვნელი მიაწყდა, რომ დარბაზში ტევა აღარ იყო და ერთმანეთი კინაღამ გასრისეს სივიწროვისაგან. ამავე დღეს საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარემ ქ-ნმა სმაგინისამაც დაურიგა ფული ღარიბებს.

◆ წითელ პარასკევს ქალაქს სოფლებიდან აუარებელი ხალხი ეწვია. საზოგადოდ ყოველგვარი სანოვაგე იაფი იყო. შარშან, მაგალითად, ათი კვერცხი რომ აბაზად იყიდებოდა, წელს ამ ფასად ოცს კვერცხს იძლეოდენ. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ წელს ნაკლებად მიაქვთ კვერცხი საზღვარგარედ.

რუსეთის ქრონიკა

◆ „ვლად. ვესტ."-ში დაბეჭდილია შემდეგი ბრძანება ვლადივოსტოკის ციხის მიმართ: „რადგან უკანასკნელ დროს ჯარის-კაცნი ძლიერ ხშირად იყინებიან, ოლქის ჯარების უფროსმა ბრძანება გამოსცა, მიღებულ იქმნას საჭირო ღონისძიებანი ასეთ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად როგორც ყარაულობის, ისე ჯარის გადაყვან-გადმოყვანის დროს".

◆ შინაგან საქმეთა მინისტრს გამოუცია სავალდებულო დადგენილება ორიოლისა და ელეცისათვის, რომლის ძალითაც სახლის პატრონნი ვალდებულნი არიან, დაუყოვნებლივ აცნობონ პოლიციას მათ სახლში მიმსვლელთა და წამსვლელთა ვინაობა. („ბაკ. იზვ.").

◆ ამ დღეებში ეკატერინოსლავის სამთო სასწავლებლიდან სწავლის ფულის შეუტანლობის გამო გამოურიცხავთ 151 სტუდენტი,—სწორედ ნახევარი სასწავლებლის ყველა სტუდენტებისა. („პრიდ. კრ.").

◆ როგორც „ვარშ. დნევ." იუწყება, ვარშავის საკრედიტო დაწესებულებათ და სავაჭრო ფირმებს სრულებით მოუსპიათ კრედიტი პროვინციის ვაჭრებისა და ფირმებისათვის. ამის გამო პროვინციის სავაჭრო დაწესებულებანი დიდ გაჭირვებაში არიან და ბევრი კოტრდება კიდეც.

◆ სარატოვში განკარგულება მისულა, რომლის ძალითაც ომის გამო შემცირებულ უნდა იქმნას რიაზ.-ურალის რკინის გზის მოსამსახურეთა შტატები. ამ ჟამად რკინის გზის განყოფილებათა უფროსები დიდის სისწრაფით ადგენენ მოსამსახურეთა სიას ზედ აღნიშვნით—ვინ დაითხოვონ, ან დასტოვონ. აზრადა აქვთ მოსამსახურეთა რიცხვი სანახევროდ შეამცირონ.

◆ „ბირჟ. ვედ."-ს სწერენ ტაიშენის სადგურის მახლობლად ლიანდაგიდან მატარებლის გადავარდნის შესახებ: მატარებელი სწრაფად შეჰქანდა და ლიანდაგიდან გადავარდა. მგზავრები შიშის ზარმა მოიცვა. ყველანი იმის ცდაში იყვნენ, როგორმე ჩქარა გამოსულიყვნენ ვაგონიდან. სიჩქარეში ერთმანეთს აყოვნებდნენ. ორთქლ-მავალთან მოსჩანდა რამდენიმე წაქცეული ვაგონი. 7 თუ 10 კაცი მომწყვდეული იყო ვაგონების ნამტვრევებში. ბევრია მძიმედ დასახიჩრებული. ერთს ქალს სულ ჩაჰლეწოდა გული და ძლივს-ძლივობით სუნთქავდა. ვაგონის ნამტვრევებიდან გამოათრიეს მოკლული ყაძახი. ეს უბედურება ლიანდაგის მიზეზით მოხდა, რომელიც ან განზრახ გაწეული უნდა ყოფილიყოს, ან ცუდად ყოფილა გაკეთებული.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 მარტი

პეტერბურგი. 28 და 29 მარტს შორეულ აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობა არ მოსულა.

რუსეთის წითელის ჯვრის საზოგადოების მთავარ გამგეობის აღმასრულებელი კომისია უმორჩილესად სთხოვს იმ ფირმებს, რომელთაც სურთ ომის დაწყებისა გამო ციმბირისა და ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზებზე შეჩერებულ საქონლის გაყიდვა, აცნობონ აღმასრულებელ კომისიას იმ საქონლის შესახებ, რომელიც წითელის ჯვრის საჭიროებისათვის გამოდგება. (პეტერბურგი, ინჟენერნაია, 9).

პარიზი. როგორც ხმა დადის, პოლკოვნიკმა მარშანმა სამსახურიდან გადადგომა ითხოვა, რადგან სამხედრო მინისტრმა ნება არ დართო შორეულ აღმოსავლეთში წასულიყო, სადაც პოლკოვნიკს სურდა რუსეთის სამხედრო მოქმედებისათვის თვალ-ყური ედევნებინა.

ლიონი. მინისტრ-პრეზიდენტმა კომბმა რადიკალ-სოციალისტების კავშირის ნადიმზე სიტყვა წარმოსთქვა შინაურ პოლიტიკის შესახებ. კომბი, სხვათა შორის, შეეხო საფრანგეთის დამოკიდებულებას სხვა სახელმწიფოებთან და სთქვა: „საფრანგეთისათვის არავის არ მიუყენებია შეურაცხყოფა და არ უფიქრნია, რომ საფრანგეთი თავის სიტყვას რუსეთის მიმართ არ შეასრულებს, ან სხვა სახელმწიფოებთან მეგობრულ დამოკიდებულებას უარს ჰყოფსო. არავინ არ ეჭვობს, რომ საფრანგეთი იცავს ამ კავშირსა და მეგობრულ დამოკიდებულებას მხოლოდ მშვიდობიანობის გულისათვის.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

30 მარტი.

პეტერბურგი. გენერალი ფლუგი დეპეშით ატყობინებს სავაჭ. სატ. სააგენტოს: ტყუილია საზღვარ-გარედ გავრცელებული და ინკოუდან მიღებული ცნობა, ვითომ იაპონელების მოწინავე ჯარი მდინარე იალუზე გადასულიყოს და შეტაკება მომხდარიყოს.

ლიაოიანი. წვიმებისა გამო რკინის გზის ლიანდაგი ცოტათი დაზიანდა, მაგრამ მოსალოდნელი არ არის, რომ მატარებლების მისვლა-მოსვლა შეფერხდეს. შანჰაი-გუანის რკინის გზის ლიანდაგზე ბევრ ადგილი წალეკილია წყლისაგან, წალეკილია აგრეთვე საურმე გზები.

ჩრდილოეთ კორეიაში ბრძოლის ველზე ცვლილება არ მომხდარა. აღდგომის პირველმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

სეული. ორშაბათს ჩრდილოეთ საზღვარზე გაიგზავნა 600 კორეელი ჯარის კაცი, რომელთაც ჩინელებს არ უნდა დაანებონ კორეიის სადავო ტერიტორიის დაპყრობა.

ლონდონი. როგორც კორესპონდენტები იუწყებიან, კორეიაში არეულობა ძლიერდება. „დეილი მეილი" ამბობს, პხიჩიანის პროვინციის პრეფექტმა ჯარი მოითხოვა

ნ. ცხვედაძემ, რომლის განსახილველად მოხდა კრება ილ. ჭავჭავაძის სახლში. კრებას, გარდა ზემო დასახელებულის პირებისა, დაესწრნენ ი. ჭავჭავაძე და ბეს. ღოღობერიძე. კრებამ დაადგინა, რომ შესწორებულიყო ზოგიერთი მუხლი წესდებისა და ამისათვის აირჩია კომისია: ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი და ბეს. ღოღობერიძე. კომისიამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ გარკვევით და ნათლად ყოფილიყო გამოთქმული წესდების მესამე მუხლი, რომლის დღევანდელი რედაქცია ამბობს: „საზოგადოება თავის საგანს მიაღწევს იმით, რომ სახალხო სკოლებში დასაწყის სწავლებას შემოიღებს სამშობლო, ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე" და სხვა.

წესდების შემუშავებას მოუნდა მთელი წელიწადი. როდესაც წესდება დამზადდა, ახლა საჭირო იყო პროპაგანდა ქართველ დიდ-კაცებში, რომ ხელი მოეწერათ წესდებაზე, როგორც დამფუძნებელ წევრებს, და დახმარება აღმოეჩინათ „საზოგადოების" წესდების დამტკიცებისათვის. ბოლოს 1878 წლის 30 იანვარს გრ. ორბელიანის სახლში მოხდა დიდი კრება, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ ყველანი, ვისაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ „საზოგადოებაში" როგორც წევრებს. დ. ყიფიანმა წაიკითხა წესდება, რომელიც ყველამ მოიწონა. კრებაზე, სხვათა შორის, დიდი ბაასი იყო იმის შესახებ, თუ რა სახელი უნდა ეწოდებინათ „საზოგადოებისათვის". გრ. ორბელიანი იმ აზრისა იყო, რომ „საზოგადოებას" დარქმეოდა ის სახელი, რომელიც აქვს დღეს. ამაზე დ. ყიფიანმა უპასუხა, ეს სახელი არ იქნება რიგიანი, რადგან მაშინ ჩვენ მოძმე სომხებს არ ექნებათ შიგ წილიო. კრებამ თუმცა დღევანდელი სახელი უწოდა „საზოგადოებას", მაგრამ ისურვა, რომ სომხებსაც შეეძლოთ „საზოგადოებაში" მონაწილეობის მიღებაო. ამავე კრებამ დაადგინა: მიენდოს დ. ყიფიანს, ი. ჭავჭავაძეს და ბეს. ღოღობერიძეს, წარუდგინონ მთავრობას წესდება დასამტკიცებლადო.

20 ივნისს, იმავე წელს, ხსენებულმა პირებმა წარუდგინეს წესდება კავკასიის ნამესტნიკის მთავარ სამმართველოს. სამმართველომ გადასცა იგი განსახილველად სამოსწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს, რომელმაც ვრცელი მოხსენება დასწერა „საზოგადოების" წესდების შესახებ. საბჭო სწერდა: „ყოვლად სიმპატიურია და მოსაწონი საგანი „საზოგადოებისა", მაგრამ მისის წესდების შემდგენელთ თითქოს არ ჰქონიათ სახეში არსებული კანონ-დებულება, თითქოს „საზოგადოების" მოქმედება განისაზღვრებოდეს მარტო მისის წესდებით, მაგალითად, წესდებაში არ არის ნაჩვენები, რომ როდესაც „საზოგადოებას" სკოლის დაარსება უნდა, ამისათვის უნდა აიღოს ჯეროვანი ნებართვა მთავრობისაგან; გარდა ამისა, სწერდა საბჭო: „საზოგადოებას" რაღაც შეზღუდულობა და კარჩაკეტილობა ეტყობა, რაიც სჩანს მე-9 და მე-14 მუხლებიდან; ყველაზე უფრო კი საბჭო წინააღმდეგი იყო მესამე მუხლის რედაქციისა, რომელიც დიდს ადგილს უთმობს სამშობლო ენას და საჭირო ყურადღებას არ აქცევს რუსულს ენასო, საკმარისი არ არისო, ამბობდა საბჭო: რომ „საზოგადოება იზრუნებს რუსულის ენის სწავლისათვისო". 1879 წ. 12 მარტს მთავარმა სამმართველომ ამ მოხსენების პირი გამოუგზავნა დიმ. ყიფიანს და თავის მხრითაც მოსწერა, რომ სამმართველო არ ეთანხმება მზრუნველის საბჭოს აზრს მე-9 და მე-14 მუხლების შეცვლის შესახებ, ეს მუხლები შეიძლება დარჩესო, ხოლო სამმართველო თხოულობდა, ზოგიერთი არა არსებითი ცვლილება შეეტანათ წესდებაში დამაარსებელთ, მაგალითად, შეცვლილიყო „საზოგადოების" სახელი: ნაცვლად „კავკასიის სანამესტნიკოს ქართველ ტომის მკვიდრთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის ტფილისის საზოგადოებისა" დაწერილიყო „კავკასიის სანამესტნიკოს ქართველ მკვიდრთა შორის წ. კ. გამავრცელებელი ტფილისის საზოგადოება".

25-ს იმავე მარტს დ. ყიფიანმა წარუდგინა მთავარ-სამმართველოს შესწორებული წესდება, ხოლო მესამე მუხლი დარჩა ხელუხლებლად, რომლის შეცვლა ეწინააღმდეგებოდა სრულიად „საზოგადოების" დაარსების დედა-აზრს. ამ მუხლის შესახებ დ. ყიფიანი სწერდა, რომ იგი სრულებით არ სჩაგრავს სახელმწიფო ენას, პირიქით, ამ მუხლის ძალით, „საზოგადოება" ეცდება რუსულის ენის სწავლება კარგად მიდიოდესო. რასაკვირველია, გარდა ქაღალდისა, „საზოგადოების" დამფუძნებლები სიტყვიერად, პირადადაც მოელაპარაკნენ სამმართველოს და რამდენისამე დღის შემდეგ წესდება დამტკიცებულ იქმნა, რის შესახებ ტფილისის გუბერნატორმა აცნობა დ. ყიფიანს 14 აპრილს. ერთის თვის შემდეგ, 15 მაისს მოხდა პირველი საზოგადო კრება „საზოგადოებისა", რომელსაც დაესწრო 45 დამფუძნებელი წევრი. კრებას თავმჯდომარეობდა დ. ყიფიანი (გრ. ორბელიანს სთხოვეს, მაგრამ უარი განაცხადა), რომელმაც მოკლედ გააცნო დამსწრეთ „საზოგადოების" დაარსების ისტორია. კრებამ ამოირჩია პირველი გამგეობა „საზოგადოებისა", რომელიც შესდგებოდა შემდეგის პირებისაგან: თავმჯდომარე—დ. ყიფიანი, მისი ამხანაგი—ი. ჭავჭავაძე, წევრნი—ნ. ცხვედაძე, ი. გოგებაშვილი, რაფ. ერისთავი და ალ. სარაჯიშვილი *). დიდის თანაგრძნობით მიეგება ქართველი საზოგადოება „წერა-კითხვის საზოგადოების" დაარსებას. ყველა ჰგრძნობდა, რომ საძირკველი დაედგა დიდ-მნიშვნელოვან და იშვიათ საქმეს. „ბევრი სასარგებლო და თანაგრძნობის ღირსი კერძო საზოგადოება დაარსებულა ჩვენში,—სწერდა „დროება"—ამ უკანასკნელ ათი-ხუთმეტი წლის განმავლობაში, მაგრამ არც ერთი არ ყოფილა ისეთის მაღალის მნიშვნელობის და მიზნის, როგორიც არის წერა-კითხვის საზოგადოება". პირველ საზოგადო კრებისათვის „საზოგადოებას" უკვე ჰქონდა შემოსული წევრთაგან 1700 მანეთამდე, შემოწირულება ტფილისის ბანკისაგან 11000 მ. და ქუთ. ბანკისაგან 3000 მან., გარდა ამისა უკანასკნელმა ბანკმა შემოსწირა კიდევ 8000 მან. იმ პირობით, რომ „საზოგადოებას" დაეარსებინა ქუთაისში სათავად-აზნაურო სკოლა.

ასე დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", დაარსდა იმ დროს, როდესაც საქართველოში მხოლოდ 113 სახალხო სკოლა იყო (3633 მოსწავლით), 29—ტფილ. გუბერნიაში და 84 ქუთაისისაში.

კალამი

---

*) გამგეობის წევრთა რიცხვი 1880 წ. 30 იანვარს გადიდებულ იქმნა 13-მდე

აჯანყებულ ხალხის დასამშვიდებლად: აჯანყების მიზეზი სიმშილობააო. პროვინციაში დათარეშობენ კარგად შეიარაღებული ყაჩაღები. იაპონელი მოხელენი პხიონიანში ნებას არ აძლევენ ამერიკისა და ინგლის სამხედრო აგენტებს, იაპონიის სამხედრო მოქმედებას გაეცნონ და ამავე დროს დიპლომატიური საშუალებით სცდილობენ ბრძოლის ველიდან იმათ გაძევებას. ამის გამო გენერალი ალლენი სეულს ბრუნდება.

როგორც „დეილი ქრონიკლ“-ი იტყობინება, რუსებმა ლიაოდუნის ყველა ქალაქში სამხედრო წეს-რიგი შემოიღეს.

ნიუ-ჩუანიდან მომავალი გემი „შოსსინგ“-ი ვანჩენის კუნძულების ჩრდილოეთით პორტ-არტურიდან 10 მილის მანძილზე ორშაბათს შეხვდა რუსეთის 8 გემს, რომელნიც დალნის მხრიდან მოდიოდნენ. გემი გააჩერეს და ქაღალდები გაუსინჯეს.

„დეილი მეილ“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან, ორშაბათს საფრანგეთის ელჩმა დაათვალიერა მაცუმას საავადმყოფო და გადასცა დაჭრილ რუსებს ხელმწიფე იმპერატორისაგან გამოგზავნილი სააღდგომო საჩუქრები.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 მარტი

პარიზი. გამოქვეყნებულია შინაარსი საფრანგეთ-ინგლისის ახალ შეთანხმებისა. საფრანგეთი ხელს არ შეუშლის ინგლისის მოქმედებას ეგვიპტეში. თავის მხრივ ინგლისი ნებას აძლევს საფრანგეთს დაიცვას მშვიდობიანობა მაროკოში. ინგლისი უერთდება 1888 წელს დადებულ პირობას სუეცის არხის ნეიტრალიზაციის შესახებ. ორივე სახელმწიფო პირობასა სდებენ, რომ უზრუნველ ჰყოფენ მაროკოს ტერიტორიის ხელუხლებლობასა და დაიცავენ არსებულ status quo-ს. შეთანხმების რამდენიმე დადგენილება შეეხება ნიუფაუნდლენდს. სიამის შესახებ დეკლარაციაში გამეორებულია 1896 წლის შეთანხმების საფუძველნი. ორსავე სახელმწიფოს სრული თავისუფლება ენიჭებათ დასავლეთ სიამში მოქმედებისა, ამასთან პირობასა სდებენ, რომ უზრუნველ ჰყოფენ სიამის სახელმწიფოს ხელუხლებლობას და დაიცავენ არსებულ status quo-ს.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“) საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმებას საახალშენო საკითხთა შესახებ ხელი მოაწერეს.

პარიზი. 9 საათსა და 45 წუთზე გადაიცვალა დედოფალი იზაბელლა.

სტამბოლი. 26 მარტს ხელი მოაწერეს ოსმალეთ-ბოლგარიის შეთანხმებას. ბოლგარია პირობასა სდებს, რომ ხელს შეუშლის ოსმალეთის წინააღმდეგ მომქმედ სარევოლიუციო კომიტეტებისა და შეიარაღებულ რაზმების დაარსებასა და მოქმედებას, აგრეთვე პირობას სდებს, რომ სდევნის და დასჯის ბოლგარიის იმ ქვეშევრდომთ, რომელნიც ბოლგარიის მეზობლად მდებარე პროვინციებში სარევოლიუციო მოქმედებას დაიწყებენ. ამასთან ბოლგარია ხელს შეუშლის მაკედონიის სამ პროვინციაში ასაფეთქებელ ნივთიერებათა შეტანას. შემდეგ მოყვანილია რამდენიმე დადგენილება, რომელიც შეიცავს პორტას ვალდებულებას; აქვე მოხსენებულია საკითხი ამნისტიის შესახებ. დანარჩენ სადავო საკითხების გადაწყვეტა მიენდობა შეერთებულ კომისიას.

29 მარტი

პეტერბურგი. გზათა მინისტრს ებოძა ორდენი თეთრის არწივისა უმაღლესის რესკრიპტით. ებოძათ ორდენები უმაღლესის გრამოტებით: ალექსანდრე ნეველისა ბრილიანტებით—საპატიო მზრუნველს ნიკოლოზ ბროკს; ალექსანდრე ნეველისა—საპატიო მზრუნველს ალექსანდრე როზენს, ფინანსთა სამინისტროს საბჭოს წევრს დიმიტრი განს, საპატიო მზრუნველთ იოსებ კვიცინსკის, გრაფ ვასილ კაპნისტს და ეგერმეისტერს ივანე ბალაშევს.

ვარშავის სამხედრო ოლქის ჯარის უფროსის თანაშემწეს ინფანტერიის გენერალს პუზირევსკის უმაღლესად ებრძანა სახელმწიფო საბჭოს წევრად ყოფნა; ფინანსთა სამინისტროს გამგეს სენატორს კოკოვცევს ებრძანა ფინანსთა მინისტრად ყოფნა. მის უდიდებულესობის საკუთარ კანცელარიის მთავარ გამგეს ტანეევს ებოძა სტატს-სეკრეტრობა.

ებოძათ: დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკობა—საპატიო მზრუნველს არგამაკოვს; ტაინი სოვეტნიკობა: ბელგრადში მეორე ელჩს გუბასტოვს, მაგილიოვის გუბერნატორს კლინგენბერგს, სახელმწიფო ბანკის გამგეს ტიმაშევს, მიწათ-მოქმედების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტის თავმჯდომარეს სტებუტს, გარეშე საქმეთა სამინისტროს საბჭოს მუდმივ წევრს ვასხელს, სახაზინო დეპარტამენტის დირექტორს შიპოვს; დეისტ. სტატს. სოვეტნიკობა—ესტლიანდიის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ბელგარდს და ხარკოვისა—გერბელს. უმაღლესად ებოძათ ორდენები: ვლადიმირისა პირველ ხარისხისა—საპატიო მზრუნველს ბარონ გერშაუს; ალექსანდრე ნეველისა—საპატიო მზრუნველთ გრაფ დ. კაპნისტს, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს დურნოვოსა და საადმირალოების საბჭოს წევრს დიკს; თეთრის არწივისა—საპატიო მზრუნველს პეროვილიევს, გარეშე საქმეთა სამინისტროს უფროს მოთათბირეს არგიროპულოს, ფინანსთა მინისტრის ამხანაგთ რომანოვსა და ტიმირიაზევს, ტაინი სოვეტნიკებს პოსარევსა და ტიმევს, სახელმწიფო კონტროლის საბჭოს წევრს ბელიაკოს, გენერალ-ლეიტენანტებს გორიაინოვს და სლივას, დონის ყაზახთა ჯარის ატამანს მაქსიმოვიჩს, შავის ზღვის ფლოტის მთავარ უფროს სკრიდლოვს.—ებოძათ კავალერიის გენერლობა: ხრეშჩატიცკისა, ფონ-ვალსა და არაპოვს; ინფანტერიის გენერლობა—პანტელეევს და ბოგოლიუბოვს.

ჰერცოგს მიხაილ გიორგის ძეს მეკლენბურგ-სტრელიცკის ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა ორდენი ანდრია პირველ წოდებულისა.

სტამბოლი. რუსეთისა და ავსტრიის ელჩებმა პორტას წარუდგინეს მემორანდუმი და მოსთხოვეს, 7 აპრილამდე ოტამანის ბანკში შეიტანოს 50,000 ლირა უცხოელ საჟანდარმო კომისიის დასაარსებლად საჭირო ხარჯისთვის და თვიურის ჯამაგირებისთვის.

სტამბოლი. მაკედონიის ჟანდარმერიის უცხოელი აფიცრები 29 მარტს სალონიკს წავლენ.

ლავალეტტა. მოვიდა გერმანიის იმპერატორი.

სტამბოლი. კომისია, რომელსაც სულთანის მიერ მინდობილი აქვს არაბეთს წასვლა და მლოცველებზე თავდასხმისა და ამოხოცვის საქმის გამოძიება, მივიდა იამბოში და იქიდან გეჯასის ვილაეტისაკენ წავა.

ნიურენბერგი. სასკოლო ჰიგიენის კონგრესი დაიხურა.

პარიზი. გუშინ აღდგომის გამო რუსების კოლონიის წევრები წირვის შემდეგ მივიდნენ ელჩ ნელიდოვთან ხელმწიფე იმპერატორისადმი უქვეშევრდომილეს გრძნობათა გამოსაცხადებლად და მისალოცავად. ვახშამზე სადღეგრძელო წარმოსთქვეს ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფე დედოფლისა და უსურვეს გამარჯვება რუსეთის ჯარს.

მალტა. იმპერატორმა ვილჰელმმა მიიღო გუბერნატორი, ინგლისის ესკადრის უფროსი და გერმანიის კონსული და ისადილა გუბერნატორის სასახლეში.

30 მარტი

პეტერბურგი. კანონთა კრებულში გამოცხადებულია, რომ დროებით გადიდებულ იქმნება მისი უდიდებულესობის კაბინეტის მიწების მზომელთა რაზმი. გამოქვეყნებულია აგრეთვე, რომ ადგილებში, სადაც ციმბირის რკინის გზა მიდის, სამხედრო წესებია შემოღებული.

ბაქო. ამ დღეებში სამსახურიდან დაითხოვეს ფარსისტანის გენერალ-გუბერნატორი ალაი-დოულე, რომელიც ლორდ კერზონის მოგზაურობის დროს არ ეწვია მას და არ მიესალმა, პირ-იქით თვითონ ელოდა კერზონის მოსვლას. შახის მთავრობამ აცნობა ინგლისის მთავრობას ალაი-დოულეს დათხოვნის შესახებ, ხოლო ლანსდოუნმა ეს ამბავი პარლამენტს შეატყობინა. ალაი-დოულე გამოცდილი ადმინისტრატორი, ამასთან განათლებული და სპარსეთისათვის ძლიერ საჭირო კაცია.

სპარსეთში ადგილობრივ ვაჭართაგან შესდგა კამპანია, რომელსაც აზრად აქვს ჩაის მოშენება. 300 ათასი ძირი კიდეც დარგეს.

პარიზი. დღეს საღამოს გამოაქვეყნეს საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმებისა და დეკლარაციის ტექსტი. მე-8 მუხლით ნება ეძლევათ, შეეთანხმონ ესპანიის მთავრობას განსაკუთრებულ ინტერესების თაობაზე, რომელნიც ესპანიას თავისის გეოგრაფიულის მდებარეობითა და ტერიტორიით მაროკოს ხმელთა შუა ზღვის ნაპირებზე აქვს. ეს შეთანხმება უნდა ეცნობოს ინგლისის მთავრობას.

სტამბოლი. მაკედონიის ჟანდარმერიის უცხოელი აფიცრები კვირას წავლენ და ორშაბათს მივლენ სალონიკს. ჯორჯის წასვლა ჯერ კიდევ საეჭვოა, რადგან ის, როგორც ოსმალეთის აფიცერი, სულთანის ბრძანებას ელოდება.

ბარცელონა. როდესაც მეფე-ალფონსი სატრიუმფო კამარის ქვეშ მიდიოდა, ხალხში სტვენა გაისმა. პოლიციამ 13 კაცი დაატუსაღა.

პეტერბურგი. 28 მარტს აღდგომა დამეს საზამთრო სასახლეში წირვას მისი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი დაესწრნენ.

30 მარტი.

სტამბოლი. რუსეთისა და ავსტრიის სამხედრო აგენტები აგრეთვე სამოქალაქო აგენტების უცხოელი თანაშემწენი შვერინს წავიდნენ.

ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ დიდის ჰერცოგის მეკლენბურგ-შვერინგისა და კუმბერლანდის პრინცესა ალექსანდრას ქორწინება 24 აპრილს მოხდება.

ოკაგანდია. 27 მარტი. ლეიტვეინმა დიურის მთავარი რაზმი შეუერთა ესტორფის ზაზმსა და ონგანჟირთან იერიში მიიტანა გერეროს ჯარზე, რომელიც 3000 კაცისაგან შესდგებოდა. რვა საათის ბრძოლის შემდეგ გაარდვია მტრის პოზიცია. მტერმა უკან დაიწია. მოკლულია 2 აფიცერი, 2 ცხენოსანი ჯარის კაცი. დაიჭრნენ: მძიმედ ერთი აფიცერი და 5 ცხენოსანი ჯარის კაცი, მსუბუქად—ხუთი ცხენოსანი ჯარის კაცი. მტერი მცირედად დაზარალდა.

პარიზი. ერთ კორესპონდენტთან ლაპარაკის დროს დელკასეს უთქვამს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შესახებ: მოლაპარაკების დროს სახელმძღვანელოდ მიჩნეული იყო ის იდეა, რომ ყოველ საკითხის გადაწყვეტის დროს, სადაც ერთის სახელმწიფოს ინტერესი სჭარბობს მეორისას, მეორე სახელმწიფომ უნდა დაუთმოს. საფრანგეთს შეუძლია დარწმუნებული იყოს, არც იტალია და არც ესპანია წინააღმდეგობას არ გაუწევენ იმას მაროკოს თაობაზე, ხოლო დანარჩენ სახელმწიფოთ თავისუფალ ვაჭრობის გამოცხადებით საკმაოდ უზრუნველ ყოფილად მიაჩნიათ თავი. საფრანგეთის პოლიტიკა მაროკოს შესახებ მშვიდობიანის ხასიათის იქმნება. საფრანგეთი დაეხმარება მაროკოს იმპერატორს შემოსავლის ახალ წყაროების გამოძებნაში, აგრეთვე მხედრობის ახალ წესზე მოწყობის საქმეში; უზრუნველ ჰყოფს იმ რკინის გზის ლიანდაგის გაყვანის საქმეს, რომელიც ორან-ტუნისის რკინის გზის ლიანდაგის გაგრძელებას შეადგენს. ყველა ამის განსახორციელებლად, უსათუოდ დიდი დროა საჭირო და სულელობა იქმნება რამე სხვა სისტემით ხელმძღვანელობა, გარდა მშვიდობიან პოლიტიკისა. როგორც დელკასეს განცხადებიდან სჩანს, პეტერბურგში საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმებას კმაყოფილებით შეხვდრიან.

სოფია. (ოპოზიციის წრეებიდან) მტკიცდება ცნობა ოსმალეთ-ბოლგარიის შეთანხმებაზე ხელის მოწერის შესახებ.

სოფია („კორესპ. ბიურო“). 27 მარტს სუსტად იძრა მიწა. მცხოვრებთათვის მიწის ძვრას დიდი ზარალი არ მიუყენებია.

ბელგრადი. მოვიდა ავსტრიის ელჩი.

ლავალეტტა. 28 მარტს გერმანიის იმპერატორმა „ჰოჰენცოლერნ“-ზე მიიღო ინგლისის ესკადრის ადმირალები და უფროსები. საუზმის შემდეგ იმპერატორმა დაათვალიერა სენ-ჯონის ეკკლესია და შემდეგ წავიდა გუბერნატორის აგარაკისაკენ. საღამოს იმპერატორი ლავალეტში დაბრუნდა. ჰოჰენცოლერნ“-ზე გამართული იყო სადილი, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ გუბერნატორი, ინგლისელი ადმირალები, გემების უფროსები, მეციხოვნე ჯარის აფიცრები და მოხელენი. სადილზე იმპერატორმა მიირთვა მეფე ედუარდის სადღეგრძელო. 29 მარტს, დილას იმპერატორმა დაათვალიერა ინგლისის ესკადრის გემები და „ჰოჰენცოლერნ“-ზე მიიღო არქიეპისკოპოსი მალტისა, ხოლო შემდეგ გაისეირნა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ი. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

„გამომც. ქართველთა ამხანაგობის“

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი ღირს	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში**, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურეში.

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას-დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. კანვერტზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.



საათის საწყობი

იულიუს გენესი

ტფილისი, დვორცოვი ქუჩა.

მივიღეთ მრავალი საათი—კედლისა და სტოლისა. ყოველთვის მრავლადა გვაქვს ყოველგვარი საათი ჯიბისა შვეიცარიის საუკეთესო ქარხნებისა. საწყობი ჰკისრულობს აგრეთვე საათების შეკეთებას, რაიცა სწრაფად და პირიანად სრულდება. ფასი ყველა საქონელზე ზომიერია.

პრეის-კურანტი მოთხოვნილებისათანავე მსურველს უსასყიდლოდ ეგზავნება. (25—6.—10)

ტელეფონი № 978. ტელეფონი № 978.

სამოდო-სამანუფაქტურო მაღაზია „მოდერნ“

ტფილისი, გოლოვინის პროსპ., სახლი სტეფანოვისა, 16.

მუდამ შეიძლება აარჩიოთ ზერგვარი საქონელი რუსეთისა და საზღვარ-გარეთისა:—**შალისა და აბრეშუმისა და ბამბეულის ყოველგვარი ქსოვილები**, აგრეთვე სუფრის თეთრეული, აბრეშუმის იუბკები და კოფთები, პლიუშის სტოლის საფრები, ხავერდის ხალიჩები და სხვა. ფასები გადაჭრილია, ისყიდება შეუვაჭრებლად. (6—5)

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва.)